

სამართლის საბაკალავრო პროგრამა



მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სამართლის ბაკალავრი
კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ევა გოცირიძე, სამართლის დოქტორი დავით
ბოსტოდანაშვილი
საკონტაქტო პირი: პაპუნა გურული, ტელ.: 595 07 07 46

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შესანიშნავი შესაძლებლობაა მათთვის, ვისაც სურვილი აქვს, ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციურ იურისტად და ჰქონდეს წარმატებული კარიერა.

პროგრამა შემუშავდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლის დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს, კონკრეტულად რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს იურისტი, გაანალიზდა საუკეთესო პრაქტიკა.

საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი სასწავლო კომპონენტებისაგან:

საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები. საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია უცხო ენისა და კომუნიკაციის განმავითარებელი უნარების გამომუშავებისაკენ; სავალდებულოა პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი უცხო ენის შესწავლა B2 დონით, ასევე აკადემიური წერის და საოფისე ტექნოლოგიების საწყისების სასწავლო კურსის ათვისება.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 180 კრედიტი. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები მიმართულია სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების, სამართლის (კერძო, საჯარო და სისხლის) დარგობრივი დისციპლინებისა და პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსების შესწავლისკენ;

არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი. არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში, ასევე საკუთარი სურვილის შესაბამისად შეისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები.

უნივერსიტეტში ხშირად იმართება შეხვედრები სფეროს ცნობილ წარმომადგენლებთან, ასევე, ეწყობა იმიტირებული სასამართლო პროცესები, სტუდენტური კონფერენციები და სხვა სახის მრავალფეროვანი ღონისძიებები, რაც სტუდენტებს კარგი გამოცდილების მიღების საშუალებას აძლევს.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს სამართლის სფეროში წამყვან პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გაიარონ პრაქტიკა, სტაჟირება, ასევე, კურსდამთავრებულებს – წარმატებით დასაქმდნენ.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები და ხელშეკრულებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, სააპელაციო სასამართლოსთან და სხვა საჯარო და კერძო სტრუქტურებთან, რაც ძალიან კარგ შესაძლებლობებს სთავაზობს აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამართლის მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით ან სპეციალობის შეცვლის მიზნით – სხვა მიმართულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ხელისუფლების სამივე შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება) შესაბამის დაწესებულებებში (საქართველოს პარლამენტში, სამინისტროებში, დეპარტამენტებში, სამსახურებში, სხვადასხვა პროფილის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში (პროკურატურაში და ა.შ.), აგრეთვე რაიონულ/საქალაქო, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში), ასევე, სამართლის ბაკალავრს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი იურიდიული საქმიანობა, მათ შორის საადვოკატო, და დაიკავოს ნებისმიერი პოზიცია სახელმწიფო დაწესებულებაში, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, გარდა იმ გამონაკლისებისა, როდესაც ამა თუ იმ ზემოაღნიშნული თანამდებობის დაკავება ან/დასაქმიანობის განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაგისტრის კვალიფიკაციასთან ან სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან არის დაკავშირებული. გარდა ზემოხსენებულისა, კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებით იმუშავოს საკუთარი სპეციალობით კერძო სექტორში (კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები, სხვადასხვა პროფილისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომპანიებში). ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შესაძლოა აუცილებელი იყოს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

1. მიზანი:

პროგრამის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არსებულ სამართლებრივ ღირებულებათა დამკვიდრების ხელშეწყობა და სტუდენტის ინტელექტუალურ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რისთვისაც სტუდენტს უნდა:

- ა) შეასწავლოს ეროვნული სამართლის სისტემისა და საერთაშორისო სამართლის თავისებურებები;
- ბ) გამოუმუშავოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) შეასწავლოს ქართული სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული ასპექტები;
- დ) შეასწავლოს იურისტის საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მეთოდები;
- ე) გამოუმუშავოს იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით კომუნიკაციისა და მიღებული ცოდნის განახლების უნარი;
- ვ) გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკის ნორმების, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. ანალიზებს ეროვნული სამართლის სისტემის და საერთაშორისო სამართლის ძირითად თავისებურებებს და შეუძლია სამართალწარმოებაში მონაწილეობა, სამართლებრივი პრობლემების

იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება, იურიდიული შინაარსის დოკუმენტის შედგენა:

- ა) კერძო სამართლის მიმართულებით;
- ბ) სისხლის სამართლის მიმართულებით;
- გ) საჯარო სამართლის მიმართულებით.

2. ანალიზებს ქართული სამართლის ისტორიული წყაროების თავისებურებებს;

3. განმარტავს სამართლის ნორმებს, რისთვისაც იყენებს განმარტების მეთოდებს, იურიდიულ ტერმინოლოგიას; გადასცემს ინფორმაციას ზეპირი და წერილობითი ფორმით, მშობლიურ და უცხო ენაზე.

4. შეუძლია ცოდნის განახლება - სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ცვლილებებისა და მეცნიერების სიახლეების საფუძველზე.

5. იცავს პროფესიული ეთიკის ფარგლებს, ადამიანის უფლებებს, სოციალურ და დემოკრატიულ ფასეულობებს.

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;

- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. ინფორმაცია მობილობის შესახებ ქვეყნდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, ასევე, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და გათვალისწინებულია ლექციებისა და სემინარების ორგანიზება, რომელიც აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს და აქტივობებს:

დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; შემთხვევის ანალიზი (Case Study); იმიტირებული სასამართლო პროცესი და სხვა. სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.